# ბანკებმა 9 თვეში ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან 162,5 მლნ ლარის მოგება მიიღეს




**2018 წლის მესამე კვარტალში კომერციულმა ბანკებმა სავალუტო ოპერაციებიდან 51,4 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს, რაც წინა კვარტალთან შედარებით დაახლოებით 3,8 მლნ ლარით მეტია.**

მეორე კვარტალში ბანკების სავალუტო შემოსავალი 47,6 მლნ ლარს შეადგენდა.

რაც შეეხება 9 თვის მონაცემებს, კომერციული ბანკების ანგარიშგების მიხედვით, 2018 წლის 3 კვარტალში მათ ვალუტის ყიდვა-გაყიდვით მთლიანად 162 573 723 ლარის შემოსავალი მიიღეს.

რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს, შარშან 3 კვარტალში კომერციული ბანკებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 157 632 053 ლარის მოგება მიიღეს.